

SOME PROBLEMATIC ISSUES OF CRIME PREPARATION IN COMPARISON WITH ATTEMPTED CRIME – IN TERMS OF COMPARATIVE ANALYSIS

Giorgi Gamkhitashvili

PhD student at the Faculty of law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Invited lecturer Faculty of law at Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Attorney

Email: ggamkhitashvili2@gmail.com

გიორგი გამხიტაშვილი

ABSTRACT

This article discusses the essence of the first stage of uncompleted crime, the institution of crime preparation and the legal scope of its manifestation. Thus, it is important to determine the exact legal scope of its practical implementation, on the one hand, in order to distinguish it from actions not punishable by law and disclosure of intent and, on the other hand, to draw a clear legal boundary with the second stage of an unaccomplished crime – the criminal attempt. In this regard, it should be noted that the preparation of the crime is the basis of the process of the practical realization of the intention, the purpose of which is to create the appropriate conditions directly to carry out the process of initiation of the elements of the crime, the stage of the attempt. It is in this aspect that it differs from the attempt of the crime, in which case the process of realizing the elements of actus reus of the crime begins directly.

As is known, the criminal legislation of all countries does not declare the preparation stage of the crime as punishable. However, in the practice of some countries, the abovementioned actions still do not remain beyond the scope of criminal liability, and classic preparatory activities, based on the extensive definition of the attempt of crime are classified as attempted crimes. Thus, practical issues of the actual interrelationship between ordinary preparatory activities and attempted crimes are also discussed in this aspect.

KEYWORDS: Intention, Reveal, Planning

შესავალი

დანაშაულის მომზადება წარმოადგენს მნიშვნელოვან ინსტიტუტს სისხლის სამართალში, ვინაიდან, უმეტეს შემთხვევაში კონკრეტული დანაშაულის ჩადენას, მისი მარტივად და გარანტირებულად წარმართვის მიზნით, წინ უძღვის მთელი რიგი წინარე ქმედებების ჩადენის პროცესი. სწორედ სრულყოფილად განხორციელებული საქმიანობა წარმოადგენს შემდგომი დანაშაულის ეფექტიანად განხორციელების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას. ამდენად, ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელი და მნიშვნელოვანია, რომ სამართლებრივი სიკეთეების დაცვა უზრუნველყოფილ იქნეს წინარე ეტაპზე, მათთვის კონკრეტული და იმწუთიერი საფრთხის უშუალოდ შექმნამდე.

ქართული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა სამართლებრივი სიკეთეებისათვის აბსტრაქტული საფრთხის შემცველი მოსამზადებელი საქმიანობის კრიმინალიზაციას ახდენს მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებთან და ასევე ზოგიერთ ნაკლებად მძიმე დანაშაულთან მიმართებით. საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობა მომზადების საკმაოდ ფართო დეფინიციას იძლევა, რაც გამოიხატება დანაშაულის ჩასადენად პირობების განზრახ შექმნაში. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ იგი გაიმიჯნოს განზრახვის გამომჟღავნებისაგან, რომელიც, თავის მხრივ, არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი წესით დასჯად სტადიას. ასევე საკმაოდ ხშირად იქმნება პრობლემა მომზადების სამართლებრივი ფარგლების ზუსტი განსაზღვრისა და მისი მომიჯნავე ინსტიტუტისაგან, დანაშაულის მცდელობისაგან განსხვავების ასპექტში. უმეტესად აღნიშნული პრობლემა იკვეთება სწორედ დამთავრებული მომზადებისა და დაუმთავრებული

მცდელობის გამიჯვნის კუთხით, რადგან ზოგიერთ შემთხვევაში ფაქტობრივი მოცემულობის თვალსაზრისით, ისინი ძალიან ემსგავსებიან ერთმანეთს, რის გამოც რთულდება მათი სამართლებრივი მოცემულობის ჭრილში ზუსტი შეფასების პროცესი. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია დანაშაულის მომზადების არსისა და მისი პრაქტიკული რეალიზების სამართლებრივი ფარგლების მკაფიოდ განსაზღვრა სწორედ მცდელობის ინსტიტუტთან შეპირისპირების საფუძველზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული საკითხის სწორად გადაწყვეტას გააჩნია არა მხოლოდ თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც, ვინაიდან მომზადება გულისხმობს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ფარგლებს გარეთ არსებული ქმედებების განხორციელებას, ხოლო მცდელობის დროს კი უკვე იწყება დანაშაულის უშუალო განხორციელების პროცესი, რის გამოც მისი ჩამდენი პირი მიიჩნევა ამსრულებლად, მომზადების დროს კი პირის ქმედება შესაძლოა შემოიფარგლოს მხოლოდ თანამონაწილეობის ინსტიტუტით. ასევე სასჯელის დანიშვნის თვალსაზრისითაც მეტად მნიშვნელოვანია საკითხის სწორად გადაწყვეტა, ვინაიდან მცდელობა, მომზადებასთან შედარებით, მიიჩნევა ბევრად უფრო საშიშ, სამართლებრივი სიკეთისათვის კონკრეტული საფრთხის შემქმნელ სტადიად, რის გამოც, შესაბამისად, სასჯელიც ბევრად უფრო მკაცრია. აღნიშნულ ასპექტში ასევე მნიშვნელოვანია მოსამზადებელი საქმიანობისა და დანაშაულის მცდელობის ფაქტობრივი ურთიერთმიმართების საკითხის გაანალიზება იმ ქვეყნების სისხლისსამართლებრივი თეორიისა და პრაქტიკის საფუძველზე, რომლებშიც მომზადება არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი წესით დასჯად ქმედებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია და-

ნაშაულის მომზადების არსისა და მისი პრაქტიკული რეალიზებისათვის დამანა-სიათებელი იმ სამართლებრივი ფარგლე-ბის განსაზღვრა, რომლებიც მას მკაფიოდ მიჯნავს, ერთი მხრივ, განზრახვის გამომ-ქვავნებისაგან, ხოლო, მეორე მხრივ, და-ნაშაულის მცდელობის სტადიისაგან.

დანაშაულის მომზადების ობიექტური მხარე და მისი ურთიერთმიმართების საკითხი დანაშაულის მცდელობის ინსტიტუტთან

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდგომში – სსკ) მე-18 მუ-ხლის პირველი ნაწილის თანახმად, „და-ნაშაულის მომზადებად ითვლება დანაშა-ულის ჩადენისათვის პირობების განზრახ-შექმნა“.¹ როგორც ვხედავთ, კოდექსში ზუსტად არ არის მოცემული დანაშაუ-ლის მომზადების რეალიზების კონკრე-ტული ფორმები, იგი გვთავაზობს ზოგად მოცემულობას, რომლის გამოვლინებაც, თავის მხრივ, დამოკიდებულია როგორც კონკრეტული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის თავისებურებაზე, ასევე მისი განხორციელების ფორმაზე. „იური-დიულ ლიტერატურაში განზრახვი დანაშა-ულის ჩადენის ოთხ სტადიას გამოყოფენ: 1) განზრახვის გამომქვავნება, 2) დანაშაუ-ლის მომზადება, 3) დანაშაულის მცდელო-ბა და 4) დამთავრებული დანაშაული“.²

ამდენად, დანაშაულის მომზადების

სამართლებრივ არსზე საუბრის დაწყება-მდე, პირველ რიგში, აუცილებელია, მისი განსხვავებამასთან ძალიან ახლოს მდგომ „განზრახვის გამომქვავნებისაგან“. „გან-ზრახვის გამომქვავნება გულისხმობს და-ნაშაულებრივი განზრახვის გამოვლინებას რაიმე გარეგნული ფორმით. პირს შეუძ-ლია გამოავლინოს დანაშაულის ჩადენის განზრახვა სიტყვიერად, წერილობით, ან რაიმე კონკლუდენტური მოქმედებით, სა-იდანაც შეიძლება დავასკვნათ დანაშაუ-ლებრივი განზრახვის არსებობის შესახებ. მაგრამ ასეთი მოქმედება არ უნდა წარმოა-დგენდეს ხელის შეწყობას დანაშაულებრი-ვი განზრახვის რეალურად განხორციელე-ბისათვის. მომზადება წარმოადგენს ისეთ მოქმედებას, რომელიც შესაძლებელს ხდის ან აადვილებს თვით დანაშაულის განხორციელებას“.³ „რამდენადაც ქართუ-ლი სისხლის სამართალი ქმედების სამა-რთალია, ანუ კრიმინალიზაციის ობიექტი შეიძლება იყოს მხოლოდ გარეგნულად გამოხატული ქმედება, ამდენად განზრახ-ვის გამომქვავნების დასჯადობის აღიარება დემოკრატიულ პრინციპებზე ხელის ალება იქნებოდა“.⁴ „დანაშაულის მომზა-დების დასჯადობის საფუძველია ის, რომ იგი, განზრახვის გამომქვავნებისაგან გან-სხვავებით, განზრახული ქმედების რეა-ლურად განხორციელების პირობებს და აქედან გამომდინარე სამართლებრივი სიკეთის დაზიანების აბსტრაქტულ საფრ-თხეს ქმნის“.⁵ დანაშაულის მომზადება წარმოადგენს განზრახვის გამომქვავნე-ბის პრაქტიკული რეალიზებისათვის გა-

1 მუხლი 18, საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“. პარლამენტის უწყებანი, 22/07/1999. #2287.

2 გამყრელიძე, ო., 2013. სისხლის სამართლის პრობლემები. მე-3 ტომი. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 237.

3 წერეთელი, თ., 2007. სისხლის სამართლის პრობლემები. პირველი ტომი. თბილი-სი: მერიდიანი, გვ. 377-378.

4 გაბიანი, ა. და სხვები. 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანე-ლო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 157.

5 მჭედლიშვილი-ჭედრიხი, ქ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 24.

ნხორციელებულ, დანაშაულის ჩადენისაკენ მიმართულ კონკრეტულ ქმედებას. დანაშაულის მომზადება შესაძლებელია შემდეგი ფორმულითაც გამოვხატოთ, კერძოდ, „განზრახვის გამომჟღავნებას“ + კონკრეტული ქმედების განხორციელება = დანაშაულის მომზადებას. ამდენად, განზრახვის გამომჟღავნება შესაძლებელია მივიჩნიოთ დანაშაულის მომზადების შემადგენელ ერთ-ერთ წინარე ნიშნად, რომელიც ცალკე აღებული (კონკრეტული ქმედების განხორციელების გარეშე) არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას, ვინაიდან ამ დროს არ იქმნება სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის ხელყოფის თუნდაც აბსტრაქტული საფრთხე.

დანაშაულის მომზადების სამართლებრივი არსის სრულყოფილად გამოსაკვლევად აუცილებელია მისი შემადგენელი საკანონმდებლო ელემენტების სისტემური ანალიზი. „მოსამზადებელ მოქმედებას უნდა მიეკუთვნოს ისეთი მოქმედება, რომელიც ჰქმნის პირობებს მომავალში დანაშაულის ჩასადენად. ე.ი. შესაძლებლად ხდის ან აადვილებს დანაშაულის ჩადენას, ეს ქმედება არ უნდა მოვიზნოთ როგორც დანაშაულის ჩასადენად აუცილებელი ერთადერთი და უპირობო ინსტრუმენტი, არამედ იგი შეიძლება იყოს ერთ-ერთი აუცილებელი ქმედება, რომელიც რაიმე ფორმით აადვილებს ან ხელს უწყობს დანაშაულის განხორციელებას“.⁶ დანაშაულის მომზადების დასჯადობის აუცილებლობასთან დაკავშირებით, ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია შემდე-

გი მოსაზრება, სახელდობრ, „მომზადების სრული დაუსჯელობა სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ფარგლებს გარეთ დატოვებდა უშედეგო წაქეზებას და დახმარებას, რომელიც დანაშაულის ჩასადენად პირობების განზრახ შექმნად ითვლება“.⁷ აღნიშნული მოსაზრება მართებულია მხოლოდ უშედეგო წაქეზების მომზადებად დაკვალიფიცირების ნაწილში, რომელსაც, თავის მხრივ, საფუძვლად უდევს საკანონმდებლო დანაწესი, სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილის სახით, რომლის თანახმადაც: „დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება იმასაც, ვინც მისგან დამოუკიდებელ გარემოებათა გამო ვერ შეძლო სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად“.⁸ ამდენად, ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობით დანაშაულის მომზადებად განიხილება მხოლოდ უშედეგო წაქეზება და არა უშედეგო დახმარება, რომელიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიღმაა. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში სწორადაა აღნიშნული, რომ „აქ ადგილი აქვს კანონმდებლის კვალიფიციურ დუმილს. რადგან კანონმდებელმა უშედეგო წაქეზების დასჯადობასთან ერთად უშედეგო დახმარება ამ მუხლში არ გაითვალისწინა, ეს იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელს უშედეგო დახმარების დასჯადობა არ სურდა“.⁹

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უშედეგო დახმარება შესაძლებელია მივიჩნიოთ არა მომზადებად, არამედ ხელშეშლილ მომზადებათა ნაირსახეობად, რომელიც, თავის მხრივ, არ ქმნის

6 ნერეთელი, თ., 2007. სისხლის სამართლის პრობლემები. პირველი ტომი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 379.

7 გაბიანი, ა. და სხვები. 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 156.

8 მუხლი 25, საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“. პარლამენტის უწყებანი, 22/07/1999. #2287.

9 თოდუა, ნ. და სხვები, 2019. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). მეოთხე გამოცემა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 372.

სისხლისსამართლებრივი დასჯის საფუძველს. იურიდიულ ლიტერატურაში ხელშეშლილ მომზადებად მიიჩნევა ისეთი მოქმედება, „რომელიც თუმცა მიმართულია იმისაკენ, რომ შექმნას პირობები დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ თავისთავად არ ქმნის ამ პირობებს. მაშასადამე, თუ პირი მკვლელობის მიზნით მიემართება თოფის საყიდლად, მაგრამ თოფის ყიდვის ცდა უშედეგოდ თავდება, ასეთი მოქმედება არ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის მომზადებად. ასეთი ხასიათის მოქმედებანი შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულის მომზადების მომზადებად. ამიტომ, ისინი უფრო განზრახვის გამომჟღავნებას წარმოადგენენ, ვიდრე დანაშაულის მომზადებას“. ¹⁰ „დანაშაულის შედეგისაგან დიდი სიმორის გამო იგი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას არ იწვევს“. ¹¹

ამდენად, ხელშეშლილ მომზადებაში იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც პირის მიერ მიზანმიმართულად განხორციელებული ქმედების მიუხედავად, რეალურად შექმნილი არ არის პირობები დანაშაულის ჩასადენად. ამასთანავე, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აქ იგულისხმება არა დაუმთავრებელი მომზადება, როდესაც უკვე შექმნილია მომზადებისათვის აუცილებელ პირობათაგან ერთ-ერთი, არამედ აქ საუბარია სწორედ ისეთ ვითარებაზე, როდესაც ობიექტურად საერთოდ არ არსებობს დანაშაულის მომზადების, პირობების შექმნის, რეალური ფაქტი. აღნიშნული შემთხვევის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, საჭიროა მკაფიოდ განისაზღვროს მისი სამართლებრივი სტატუსი, კერძოდ, აღნიშნული ქმედებები, თავისი არსითა და პრაქტიკული გამოვლინების ფორმებით, წარმოადგენს დანაშაულის მომზადების

მომზადებას თუ დანაშაულის მომზადების მცდელობას? ასევე, საინტერესოა, აღნიშნული ქმედებები სრულად უთანაბრდება განზრახვის გამომჟღავნებას თუ იგი სცილდება მის ფარგლებს?

ჯერ განვიხილოთ პირველი საკითხი. ხელშეშლილი მომზადების დროს პირის ქმედება მიმართულია სწორედ დანაშაულის ჩასადენად საჭირო პირობების შესაქმნელად, ამდენად, მას სურს დანაშაულის ჩასადენად შესაბამისი ნიადაგის მომზადება, რისთვისაც უშუალოდ მიმართავს თავის ძალებს, თუმცა უშედეგოდ, გარკვეულ გარემოებათა გამო იგი ვერ აღწევს სასურველ მიზანს. შესაბამისად, პირი თავისი ქმედებით ქმნის არა დანაშაულის მომზადების განსახორციელებლად აუცილებელ წინარე პირობებს, არამედ იწყებს იმ ქმედებათა განხორციელებას, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის პირობების შესაქმნელად, აღნიშნული კი, თავისი არსით, წარმოადგენს სწორედ მცდელობას და არა მომზადებას. დანაშაულის მომზადების მომზადება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც პირი თავისი ქმედებით უშუალოდ კი არ იწყებს დანაშაულის მოსამზადებელ საქმიანობას, არამედ ქმნის ისეთ პირობებს, რომლებიც შემდგომში გამოადგება დანაშაულის ეფექტურად მოსამზადებლად.

მეტი თვალსაჩინოებისათვის მოვიყვანოთ მაგალითი: ვასოს სურს პეტრეს მოკვლა, თუმცა მას არ აქვს ცეცხლსასროლი იარაღი. აქედან გამომდინარე, მან განიზრახა ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა, თუმცა ვინაიდან არ ჰქონდა საკმარისი თანხა, დაიწყო მუშაობა იარაღის შესაძენად საჭირო თანხის მოსაგროვებლად და საბოლოოდ შეაგროვა შესაბამისი თანხა. ამდენად, განსახილველ

10 წერეთელი, თ., 2007. სისხლის სამართლის პრობლემები. პირველი ტომი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 380-381.

11 მჭედლიშვილი-ჭედრიხი, ქ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 21-22.

შემთხვევაში სახეზეა სწორედ დანაშაულის მომზადების მომზადება, ვინაიდან პირმა შექმნა აუცილებელი პირობა, დანაშაულის მოსამზადებელი საქმიანობის განსახორციელებლად, რაც გამოიხატა ცეცხლსასროლი იარაღის შესაძენად თანხის შეგროვებაში. ესე იგი, მან ფულის შოვნით შექმნა საკმარისი პირობა სამომავლოდ ცეცხლსასროლი იარაღის შესაძენად, ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს დანაშაულის მოსამზადებელ სტადიას. ხოლო უკეთეს პირი აღნიშნული თანხის საშუალებით ეცდება იარაღის შექმნას, ე.ი. დანაშაულის მოსამზადებელი საქმიანობის განხორციელებას, თუმცა, მისგან დამოუკიდებელი ფაქტორების გამო, ამას ვერ შეძლებს, სახეზეა სწორედ დანაშაულის მომზადების მცდელობა, რაც წარმოადგენს ხელშეშლილ მომზადებას. ხელშეშლილი მომზადება კი, თავისი არსითა და პრაქტიკული რეალიზების ფორმით, სამართლებრივად არ უტოლდება განზრახვის გამომჟღავნებას, რადგან ამ დროს სახეზეა არა მხოლოდ პირის მიერ თავისი სუბიექტური ნების დაფიქსირება, არამედ – ასევე ხორციელდება აღნიშნული ნების რეალიზებისაკენ უშუალოდ მიმართული ქმედებებიც.

საბოლოოდ კი უნდა აღინიშნოს, რომ უშედეგო დახმარება, თავისი არსით, შესაძლებელია მივიჩნიოთ ხელშეშლილი მომზადების ნაირსახეობად, ვინაიდან ამ შემთხვევაშიც, პირი ცდილობს ამსრულებლისათვის დახმარების გაწევას, თუმცა ამას ვერ ახერხებს. მაგალითად, ვასოს შეპირებისამებრ უნდა ეთხოვებინა იარაღი პეტრესათვის ვანოს მოსაკლავად, თუმცა დათქმულ დროს ვასომ ვერ მოახერხა იარაღის პეტრესათვის გადაცემა. აღნიშნული ქმედება, მოქმედი სისხლის

სამართლის კანონმდებლობით, არ წარმოადგენს დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს.

როგორც უკვე აღინიშნა, დანაშაულის მომზადების დეფინიცია, დანაშაულის ჩასადენად პირობების განზრახ შექმნა, ფართოა და „შესაბამისად, საინტერესოა მისი პრაქტიკული გამოვლინების სამართლებრივი ფარგლების ანალიზი. კერძოდ, საინტერესოა რა ეტაპამდე შეიძლება მივიჩნიოთ განხორციელებული ქმედება დანაშაულის მომზადებად და აღნიშნული ქმედებები, თავის მხრივ, წარმოადგენს თუ არა დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშანს? აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს ორი მოსაზრება. პირველი გაბატონებული მოსაზრების თანახმად: „*მოსამზადებელი საქმიანობა წარმოადგენს ისეთი მოქმედების ჩადენას, რომელიც უზრუნველყოფს ან აადვილებს შემდგომ დანაშაულის განხორციელებას, მაგრამ თავისთავად მოსამზადებელი მოქმედება ჯერ კიდევ არ არის სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებული ნაწილის მუხლში გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება. მაგალითად, საწამლავის ან თოფის შექმნა მკვლელობის მიზნით არ წარმოადგენს ადამიანისათვის სიცოცხლის მოსპობის დანაშაულის ობიექტური ნიშნის განხორციელებას*“.¹² „*მომზადების სტადიაზე პირს ჯერ კიდევ არ დაუწყია დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება, არამედ მხოლოდ პირობები მოამზადა მისი ჩადენისათვის, რომელიც ყოველთვის შეიძლება უკან წაიღოს ისე, რომ სამართლებრივ სიკეთეს არანაირი ზიანი არ მიაღებს*“.¹³

12 წერეთელი, თ., 2007. სისხლის სამართლის პრობლემები. ტომი I. თბილისი: მერიდიანი, გვ. 385-386.

13 ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 301.

მეორე მოსაზრების თანახმად, „თუ მოქმედება არ ქმნის (დანაშაულის) ქმედების შემადგენლობას, მაშინ უნდა ვაღიაროთ, რომ ჩვენი სისხლის სამართალი ქმედების სისხლის სამართალი არ ყოფილა და, რომ ადამიანი შეიძლება დავსაჯოთ აზრის გამოთქმისათვის. ქმედების შემადგენლობის მოცულობას განსაზღვრავს კანონმდებელი. თუკი კანონმდებელმა დასჯადად გამოაცხადა კაცის მოკვლის მიზნით იარაღის ან საშუალების დამზადება, მაშინ ეს მოქმედება მკვლელობის შემადგენლობის ნიშნადაც უნდა ვაღიაროთ“.¹⁴

აღნიშნული მოსაზრება საკამათოა და მისი გაზიარების პრობლემატურობასთან დაკავშირებით ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მოყვანილია მთელი რიგი არგუმენტები, განვიხილავთ რამდენიმე მათგანს, კერძოდ, „როცა მომზადებას არ მივიჩნევთ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშნად, აქედან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რომ სისხლის სამართალი არაა ქმედების სამართალი, არამედ იგი აზრის სამართალია, რადგან მომზადება შეუძლებელია აზრის გამოთქმით, იგი გარკვეული ქმედების განხორციელებითაა შესაძლებელი“.¹⁵ ამდენად, ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის მომზადებას განზრახვის გამომჟღავნებასთან ერთად ყოველთვის თან ახლავს გარეგნულად გამოხატული ქმედება, რომელიც მიმართულია დანაშაულის ჩასადენად შესაბამისი პირობების შექმნისაკენ. აღნიშნული პოზიციის გაზიარების შემთხვევაში ისმის შემდეგი კითხვები, კერძოდ, „თუკი

მოსამზადებელი ქმედებებიც შედის დანაშაულის შემადგენლობაში, მაშინ რატომ უქმნის იგი სამართლით დაცულ სიკეთეს მხოლოდ სამომავლო საფრთხეს, რის გამოც ეგზომ სადავოა მისი დასჯადობის საკითხი? თუკი მომზადებასაც ვაღიარებთ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშნად, მაშინ რით განსხვავდება ერთმანეთისაგან მომზადება, როგორც დანაშაულის ობიექტური მხარის ნიშანი და დაუმთავრებელი მცდელობა, რომელიც ნამდვილად არის დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშანი. აქ ჰასუხი შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს – მომზადება არ გვაძლევს დანაშაულის შემადგენლობის არც ერთ ნიშანს, იგი მხოლოდ პირობებს ქმნის მის განსახორციელებლად. ხოლო დაუმთავრებელი მცდელობისას უკვე დაწყებულია დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება“.¹⁶ „უმჯობესი იქნება, თუ დანაშაულის მომზადებად მიიჩნევა დანაშაულის ჩასადენად მხოლოდ და მხოლოდ „პირობების განზრახ შექმნა“ და სისხლის სამართლის დოგმატიკა არ შეეცდება მასში ხელოვნურად შექმნას დანაშაულის შემადგენლობა ფართო გაგებით“.¹⁷

მომზადების ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშნად მიჩნევა, პრაქტიკულ პრობლემებს შექმნის დანაშაულში თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის სწორად გამიჯვნის ასპექტში. აღნიშნული პოზიციის გაზიარების შემთხვევაში, „ის პირიც, რომელმაც მხოლოდ იარაღი შეიძინა და შემდეგ

14 გამყრელიძე, ო., 2013. სისხლის სამართლის პრობლემები. მე-3 ტომი. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 237.

15 თოდუა, ნ., 2015. სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები) სახელმძღვანელო იურისტებისათვის. თბილისი: მერიდიანი, გვ. 30.

16 იქვე. გვ. 31.

17 ხარანაული, ლ., 2013. სადისერტაციო ნაშრომი თემაზე: დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 54.

გადასცა მეორე პირს კაცის მოსაკლავად (რომელმაც მოკლა ადამიანი), უნდა ჩაითვალოს თანამსრულებლად, ვინაიდან თუკი კაცის მოსაკლავად იარაღის შექმნა და ამსრულებლისათვის გადაცემა დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშანია, მაშინ გამოდის, რომ პირმა მკვლელობის ობიექტური შემადგენლობის ნიშანი განხორციელა, რის გამოც ისიც, იმ პირთან ერთად, რომელმაც უშუალოდ მოკლა კაცი ცეცხლსასროლი იარაღით, სსკ-ის 22-ე მუხლის შესაბამისად გვევლინება ამსრულებლად.¹⁸ ქართული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის პირობებში კი საკითხის ამგვარად გადაწყვეტა დაუშვებელია, რადგან სსკ-ის 22-ე მუხლის თანახმად, „ამსრულებელია ის პირი, ვინც უშუალოდ ახორციელებს დანაშაულის შემადგენლობას ან სხვა პირთან ერთად უშუალოდ, სრულად თუ ნაწილობრივ ახორციელებს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის რომელიმე ნიშანს“.¹⁹

აქედან გამომდინარე, თუ ერთი პირის ქმედება არ გასცდა მოსამზადებელი საქმიანობის ფარგლებს (ანუ განხორციელა დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის გარეთ არსებული ქმედებანი), ხოლო მეორე პირმა კი განხორციელა დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშანი (მცდელობის სტადია), პირველი მიიჩნევა თანამონაწილედ, ხოლო მეორე – ამსრულებლად.²⁰ მოსამზადებელი საქმიანობის დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშნად მიჩნევის შემთხვევა, ასევე დიდ პრაქტიკულ სირთულეს წარმოშობს უშედეგო წაქეზების სწორი სამართლებრივი კვალიფიკაციის განსაზღვრის ასპექტში. კერძოდ, როგორც უკვე აღინიშ-

ნა, სსკ-ის 25-ე მუხლის მე-7 ნაწილიდან გამომდინარე, დანაშაულის მომზადებად განიხილება წარუმატებელი წამქეზებლობის შემთხვევა, როდესაც პირმა (წარუმატებელმა წამქეზებელმა), მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, ვერ შეძლო სხვა პირის დაყოლიება დანაშაულის ჩასადენად. ამდენად, ხსენებული პოზიციის გაზიარების შემთხვევაში, გამოდის, რომ „წარუმატებელი წამქეზებელი“, უშედეგო წაქეზების ფარგლებში განხორციელებული ქმედებით, ახორციელებს იმ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშანს, რომლის ჩასადენადაც იგი აქეზებდა სხვა პირს (პოტენციურ ამსრულებელს). ეს იმ ვითარებაში, როდესაც წარმატებული წამქეზებლობის შემთხვევაში წამქეზებლის ქმედება კვალიფიცირდება მხოლოდ დანაშაულში თანამონაწილეობად და არა თანამსრულებლობად, რომლის დროსაც ხდება დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშნების მეტ-ნაკლები ინტენსივობით განხორციელება.

საბოლოოდ კი, ვიღებთ ამგვარ ვითარებას, უშედეგო წაქეზება, ე.ი. ნაკლოვანი შედეგის მომტანი ქმედება ითვლება დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშნად, ხოლო წარმატებული წაქეზება, ე.ი. სრულყოფილი შედეგის მომტანი ქმედება, რომელიც, თავის მხრივ, უშედეგო წაქეზებასთან შედარებით ბევრად უფრო მაღალი საშიშროების შემცველია, არ მიიჩნევა დანაშაულის საკანონმდებლო დისპოზიციის შემადგენელ ნიშნად, რის გამოც პირის ქმედება კვალიფიცირდება მხოლოდ თანამონაწილეობის ფარგლებში. როგორც ვხედავთ, საკითხისაღმდეგ ამგვარი მიდგომა დაუშვებელია და

18 გამხიტაშვილი, გ., 2020. თანამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხი. სამართლის მაცნე, 1, გვ. 106.

19 მუხლი 22, საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი.“ პარლამენტის უწყებანი, 22/07/1999. #2287.

20 თოდუა, ნ., 2015. სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები) სახელმძღვანელო იურისტებისათვის. თბილისი: მერიდიანი, გვ. 35.

მისი გაზიარების შემთხვევაში ვერ გავავლებთ სწორ ზღვარს მომზადებასა და მცდელობას შორის, რასაც, თავის მხრივ, უადრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის სწორად გამიჯვნის ასპექტში.

„მოსამზადებელი მოქმედება ჰქმნის იმის შესაძლებლობას, რათა პირი მომავალში შეუდგეს დანაშაულის განხორციელებას ან გაიადვილოს მომავალში დანაშაულის ჩადენა“.²¹ „დანაშაულის ჩასადენად ხშირად საჭიროა არა ერთი, არამედ რამდენიმე პირობის არსებობა. კანონმდებელი შემთხვევით არ ხმარობს სიტყვა „პირობას“ მრავლობითში მომზადების ცნების განმარტებისას, რამდენადაც მომზადება დასრულებულად უნდა ჩაითვალოს რამდენიმე ქმედების განხორციელებით, რაც საბოლოოდ დანაშაულის განსახორციელებლად პირობათა ერთობლიობას ქმნის“.²² აქედან გამომდინარე, იურიდიულ ლიტერატურაში გამოყოფენ დანაშაულის მომზადების ორ სახეს: დამთავრებულ და დაუმთავრებელ მომზადებას. დამთავრებულ მომზადებაში იგულისხმება დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განსახორციელებლად საკმარისი პირობების შექმნა, როდესაც პირს ობიექტურად ეძლევა დანაშაულის განხორციელების ფაქტობრივი შესაძლებლობა. დაუმთავრებელი მომზადება კი სახეზეა მაშინ, „როცა პირს ჯერ კიდევ არ შეუძლია უშუალოდ გადავიდეს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებაზე, როცა ჯერ საამისოდ არაა

მომზადებული ყველა საჭირო პირობა“.²³ „ასეთ დაყოფას სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა აქვს, რადგან ორივე შემთხვევაში, ადგილი აქვს დანაშაულებრივი ქმედების ობიექტურად განსხვავებულ ეტაპებს. ამიტომ ობიექტისათვის შექმნილი საფრთხის სხვადასხვა დონის გამო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დიფერენციაციაც უნდა მოხდეს“.²⁴ სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო, სხვა გარემოებებთან ერთად, ითვალისწინებს მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, რაც, თავის მხრივ, გაცილებით ნაკლებია დაუმთავრებელი მომზადებისას, დამთავრებულ მომზადებასთან შედარებით.

დანაშაულის მომზადების დეფინიციის ფართო ინტერპრეტაციისა და კონკრეტული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის თავისებურების გათვალისწინებით, ზოგჯერ საკმაოდ რთულდება მომზადების გამოვლინების ფორმების სამართლებრივი ფარგლების განსაზღვრა და, აქედან გამომდინარე, მისი მცდელობისაგან განსხვავება. აღნიშნული სირთულე განსაკუთრებით თვალსაჩინო ხდება დამთავრებულ მომზადებასა და დაუმთავრებელ მცდელობას შორის მკაფიო ზღვარის დადგენის ასპექტში. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ დამთავრებული მომზადების შემდეგ სტადიას წარმოადგენს მცდელობის განხორციელება, რომელიც ხშირად სივრცითა და დროით არ არის დაშორებული ერთმანეთისაგან. მეტი თვალსაჩი-

21 ნერეთელი, თ., 2007. სისხლის სამართლის პრობლემები. პირველი ტომი. თბილისი: მერიდიანი, გვ. 393.

22 გაბიანი, ა. და სხვები, 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 159.

23 თოდუა, ნ., 2015. სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები). სახელმძღვანელო იურისტებისათვის. თბილისი: მერიდიანი, გვ. 32.

24 გაბიანი, ა. და სხვები. 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 159.

ნოებისათვის ზემოთ ხსენებულ საკითხს განვიხილავთ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მოცემული სასამართლო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე. კერძოდ, მსჯავრდებულმა გადაწყვიტა პენიტენციური დაწესებულებიდან გაქცევა, აღნიშნული მიზნის სისრულეში მოსაყვანად კი თავის ოთახში არსებული საწოლის ქვეშ დაიწყო გვირაბის გათხრა საწარმოო ზონის მიმართულებით. მან გათხარა 1.5 მ. სიმაღლისა და 4 მ. სიგრძის გვირაბი, რომელიც აღმოაჩინეს დაწესებულების უსაფრთხოების თანამშრომლებმა. უზენაესმა სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს პოზიცია მომზადებასთან დაკავშირებით და აღნიშნული ქმედება დააკვალიფიცირა გაქცევის მცდელობად (სსკ-ის 19; 379-ე მუხლის პირველი ნაწილი). სასამართლოს განმარტებით, მომზადებასა და მცდელობას შორის არის განსხვავება განზრახვის აღსრულების ინტენსივობის თვალსაზრისით.²⁵

ამდენად, აღნიშნული განმარტების გათვალისწინებით, შესაძლებელია ითქვას, რომ სასამართლომ მომზადებისა და მცდელობის განმასხვავებელ კრიტერიუმად მიიჩნია განზრახვის სისრულეში მოსაყვანად განხორციელებულ ქმედებათა საშიშროება, სიძლიერე და სასურველი შედეგის მიღწევის მატალი შესაძლებლობა/აღბათობა. სასამართლოს პოზიციით, განხორციელებული ქმედების ინტენსივობით (გვირაბის ნაწილობრივი გათხრა), მსჯავრდებულის გასცდა დანაშაულის მომზადების სტადიას და უშუალოდ გადავიდა დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მომდევნო სტადიაზე – დანაშაულის მცდელობაზე (დაუმთავრებელი მცდელობის სტადია).²⁶

აღნიშნული საკითხის შეფასებისას,

პირველ რიგში, უნდა განვსაზღვროთ დანაშაულის მომზადების დასრულების მომენტი. ზოგადად, დანაშაულის მოსამზადებელი სტადია დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს მაშინ, როდესაც დამნაშავეს ეძლევა მცდელობის სტადიაზე გადასვლის დაუბრკოლებელი შესაძლებლობა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომზადება დამთავრებულია მაშინ, როდესაც პირმა შექმნა საკმარისი პირობები, რათა დაიწყო დანაშაულის უშუალოდ ჩადენის პროცესი. საკმარისი პირობების შექმნასა და მცდელობას შორის ზღვარი კი გამომდინარეობს არა უშუალოდ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად განხორციელებული ქმედების ინტენსივობიდან, არამედ კონკრეტული დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნიშნების თავისებურებიდან. კერძოდ, საკვებით შესაძლებელია, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მოსამზადებელი საქმიანობა, თავისი სპეციფიკურობიდან გამომდინარე, ბევრად ინტენსიური იყოს ვიდრე, უშუალოდ მცდელობის განხორციელება, თუმცა ეს მას არ გადააქცევს მცდელობის სტადიად. აქ მთავარია, პირველ რიგში, შეფასდეს განხორციელებული საქმიანობა ექცევა თუ არა დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის რომელიმე ნიშნ(ებ)ის ფარგლებში. თუ კონკრეტული ქმედება წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ნიშანს, მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია ვისაუბროთ დანაშაულის მცდელობის სტადიაზე, ყველა სხვა შემთხვევაში სახეზეა მხოლოდ დანაშაულის მომზადება.

სწორედ ამ სამართლებრივი მიმართულების გათვალისწინებით უნდა განალიზდეს ასევე ზემოთ განხილული შემთხვევა. როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან დგინდება, მსჯავ-

25 ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 304-305.

26 იქვე. გვ. 305.

რდებულმა მოახერხა გვირაბის არა სრული, არამედ მხოლოდ მისი გარკვეული ნაწილის გათხრა. სსკ-ის 379-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა და იგი დამთავრებულად ჩაითვლება თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების თვითნებურად მიტოვების მომენტიდან²⁷, ე.ი მაშინ, როდესაც თავისუფლება აღკვეთილი პირი მოახერხებს პენიტენციური დაწესებულების კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორიიდან თავის დაღწევას. აღნიშნული დანაშაულის ჩასადენად პირობების მომზადებად ჩაითვლება ისეთი ქმედების განხორციელება, რაც, თავის მხრივ, აუცილებელია გაქცევის ფაქტობრივი შესაძლებლობის მისაღებად. განსახილველი შემთხვევის გათვალისწინებით, გაქცევის პირობების განზრახ შექმნად შეიძლება ჩაითვალოს გვირაბის გათხრა, რაც შემდგომში შესაძლებლობას აძლევს მსჯავრდებულს გაქცევის უშუალო პროცესის დასაწყებად. აღნიშნულ შემთხვევაში კი, პირს გათხრილი ჰქონდა გვირაბის მხოლოდ გარკვეული ნაწილი, ანუ გაქცევის მყისიერად განხორციელებისათვის რეალურად ჯერ კიდევ არ იყო შექმნილი საკმარისი პირობები.

ასევე ამ საქმესთან დაკავშირებით აღნიშნულია შემდეგი: „მიიჩნია რა დანაშაულის მცდელობად, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, ობიექტური დამკვირვებლის პოზიციიდან გამომდინარე, თუ რამდენად რეალური იყო შედეგის მიღწევის ალბათობა“²⁸. ზოგადად, მომზადებისა და მცდელობის სტადიის დასადგენად აუცილებელია შეფასდეს ობიექტურად განხორციელებული ქმედების ფაქტობრივი გარემოებები და სწორედ ამ მოცემულობის ფარგლებში განისაზღვროს თუნდაც შედეგის მიღწევის რეალურობის ხარისხი. სასამართლომ კი, პირის მხილების მომენტი-სათვის, ზუსტად ვერ განსაზღვრა შედეგის მიღწევის ალბათობის შესაძლებლობა, ვინაიდან ნაწილობრივად გათხრილი გვირაბის პირობებში, მსჯავრდებულს ამჯერად არ შეეძლო გაქცევის უშუალოდ განხორციელების დაწყება. „თუკი დანაშაულის მომზადებისას იქმნება პირობები დანაშაულის ჩასადენად, დანაშაულის მცდელობისას უკვე იწყება ვიწროდ გაგებული დანაშაულის შემადგენლობის განხორციელება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სისხლის სამართლით დაცულ სიკეთეს უშუალო საფრთხე ექმნება. საფრთხის შინაარსის გარკვევა კი მიზანშეწონილია ისეთი ფილოსოფიური კატეგორიების საფუძველზე, როგორიცაა შესაძლებლობა და სინამდვილე“²⁹.

დანაშაულის მცდელობის არსისა და მისი სამართლებრივი ფარგლების განსაზღვრის კონტექსტში კი მნიშვნელოვანია სწორედ კონკრეტული რეალური შესაძლებლობა, რომლის დროსაც „არსებობს ქმედითი, კონკრეტული პირობების ერთობლიობა, რომელმაც შესაძლებლობა ალბათობის მაღალი ხარისხით სინამდვილედ უნდა აქციოს. აქედან დასკვნა: საფრთხე მით უფრო ქმედითია, თუ იგი სინამდვილედ გადაქცევის რეალური კონკრეტული შესაძლებლობის პირობებს შეიცავს“³⁰. განსახილველ შემთხვევაში კი, ნაწილობრივად გათხრილი გვირაბის პირობებში, არ არსებობდა სსკ-ის 379-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებ-

27 ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2020. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი მეორე, მეექვსე გამოცემა, თბილისი: მერიდიანი, გვ. 602.

28 ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 305.

29 გაბიანი, ა. და სხვები, 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 161.

30 იქვე. გვ. 161.

რივი სიკეთის ხელყოფის რეალური და კონკრეტული საფრთხე. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სახეზე იყო არა დაუმთავრებელი მცდელობა, არამედ დაუმთავრებელი მომზადება (სსკ-ის 18; 379-ე მუხლის პირველი ნაწილი).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ ვითარებაში, გვირაბის სრულად გათხრის შემთხვევაშიც კი, შესაძლოა სახეზე არ იყოს დანაშაულის მცდელობა. მაგალითად, მსჯავრდებულმა უკვე დაასრულა გვირაბის გათხრა, თუმცა იგი კვლავ რჩება თავის ოთახში და ელოდება ხელსაყრელ დროს გაქცევისათვის, რა დროსაც იგი მხილებულ იქნა. განსახილველ შემთხვევაში სახეზეა გაქცევის დამთავრებული მომზადება, რაც გამოიხატა გაქცევის პირობების განზრახ შექმნაში – გვირაბის გათხრის საშუალებით, რა დროსაც მას უკვე მიეცა მცდელობის ეტაპზე გადასვლის ფაქტობრივი შესაძლებლობა, თუმცა მან ეს შანსი ჯერ არ გამოიყენა. აღნიშნული დანაშაულის მცდელობა სახეზე იქნება მაშინ, როდესაც პირმა გადაწყვიტა მის მიერ გათხრილი გვირაბის საშუალებით პენიტენციური დაწესებულებიდან გაქცევა, იგი შევიდა გვირაბში და დაიწყო სვლა, რა დროსაც იგი დააკავეს. დანაშაულის მცდელობის დროს პირი უშუალოდ მიმართავს თავის ძალებს, რათა განახორციელოს კონკრეტული დანაშაული, მომზადების დროს კი პირი, შესაბამისი პირობების შექმნის გზით, მოქმედებს შემდგომი დანაშაულის ჩადენის გამარტივების მიზნით. ამდენად, ყოველი კონკრეტული ქმედების შეფასების საშუალებით, უნდა დადგინდეს პირი, დანაშაულის მოსამზადებელ საქმიანობას ახორციელებს, თუ იგი უკვე გადასულია დანაშაულის შე-

მადგენლობის უშუალოდ განხორციელების ეტაპზე. ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში მართებულია ადინიშნული, რომ „საპატიმრო ადგილიდან გაქცევისას გვირაბის გათხრა მიეკუთვნება მოსამზადებელ ქმედებას“.³¹

იურიდიულ ლიტერატურაში დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის განმასხვავებელ ნიშნად ასევე განხილულია ე.წ. შედეგთან სიახლოვის თეორია, რომლის თანახმადაც, „თუ შედეგის დადგომის საფრთხე ჯერ კიდევ შორეული და აბსტრაქტულია, მაშინ სახეზეა დანაშაულის მომზადება, ხოლო, თუ შედეგის დადგომის საფრთხე კონკრეტულია და შედეგთან ახლოს დგას დროსა და სივრცეში, მაშინ ჩადენილია დანაშაულის მცდელობა“.³² აღნიშნული თეორიის თვალსაჩინო მაგალითად კი მოყვანილია შემდეგი შემთხვევა, კერძოდ: „თუ მსხვერპლის მიერ განზრახ მოწამლული საკვებ-სასმელის მიღება დროით ან სივრცით დიდად არის დამორბეული შედეგთან, მაშინ სახეზეა დანაშაულის მომზადება, ხოლო მისი შედეგთან სიახლოვის შემთხვევაში – დანაშაულის მცდელობა.“³³

ამასთან დაკავშირებით, უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული თეორიის არსი და მისი გამომხატველი მაგალითი შეიცავს ბუნდოვანებას. კერძოდ, ნათლად არ არის განმარტებული, თუ რა ქმედება განაპირობებს შედეგის დადგომის კონკრეტულ საფრთხეს და კონკრეტულად როგორ განისაზღვრება შედეგთან სიახლოვის მიმართებით დროისა და სივრცის ელემენტები. ზემოხსენებულ მაგალითში ბუნდოვანია, თუ რა იგულისხმება შედეგთან სიახლოვეში, მაგალითად, აღნიშნული მოწამლული საკვების მსხვე-

31 გაბიანი, ა. და სხვები, 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 158.

32 ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი: მერიდიანი, გვ. 305.

33 იქვე. გვ. 305.

რპლისათვის შეთავაზება ან მისთვის ამ საკვების სხვაგვარად ხელმისაწვდომად გახდომა? თუ პირობითად მის მიერ აღნიშნული მოწამლული საკვების მიღების დაწყების ფაქტი? თუ პეტრემ ვასოს მოსაკლავად მოწამლა საკვები, რომელიც ჯერ მისთვის არ შეუთავაზებია და ინახავს პირადად, ამ შემთხვევაში სახეზეა სწორედ დანაშაულის მომზადება, ხოლო უკეთუ იგი აღნიშნულ საკვებს შესთავაზებს ვასოს ან მისთვის სხვაგვარად ხელმისაწვდომს გახდის, მაგალითად, კურიერის საშუალებით გაუგზავნის მას, ამ შემთხვევაში, თუ ვასო სახლში არ დახვდა კურიერს და მისთვის აღნიშნული პროდუქტის ჩაბარება ვერ მოხერხდა, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული საკვების მიღება დროისა და სივრცის თვალსაზრისით დამორებულია შედეგთან, რადგან მან ვერ მიაღწია ადრესატამდე, სახეზეა მაინც მცდელობის სტადია, ვინაიდან პირმა უშუალოდ მიმართა თავისი ქმედება დანაშაულის ჩასადენად, რაც გამოიხატა დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის დაწყებაში. განსახილველ შემთხვევაში, ვასოსათვის საკვების ჩაუბარებლობის შემთხვევაში სახეზეა დაუმთავრებელი მცდელობა, რადგან ამ დროს „ჯერ კიდევ არ არის ყველა მოქმედება შესრულებული, რამაც დანაშაულებრივი შედეგი უნდა გამოიწვიოს“.³⁴ აქ სახეზეა სწორედ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნაკლოვანება, რამეთუ საკვები ვერ მივიდა ადრესატამდე. მიუხედავად იმისა ვასო სახლში დახვდება თუ არა კურიერს, სახეზეა სწორედ დანაშაულის მცდელობა, ვინაიდან როდესაც პირმა, სხვა პირის მოსაკლავად მოწამლა საკვები და ელო-

დება პოტენციური მსხვერპლის მიერ მის მიღებას, ამ მომენტიდან სახეზეა უკვე დანაშაულის მცდელობის სტადია, ვინაიდან პირმა უშუალოდ მიმართა თავისი ქმედება, რომელიც გამოიხატა საკვების მოწამვლასა და მსხვერპლისათვის გაგზავნაში. ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ვასომ დაიწყო საკვების მიღება, თუმცა საწამლა არ იმოქმედა მის ორგანიზმზე ან იგი ცუდად გახდა, თუმცა, დროული სამედიცინო დახმარების შედეგად, გადაარჩინეს, სახეზე იქნება დამთავრებული მცდელობა, რადგან ამ დროს „შესრულებულია ყველა ის მოქმედება, რაც ტიპურად დანაშაულებრივ შედეგს იწვევს, მაგრამ შედეგი არ დება ამა თუ იმ ხელშემშლელი გარემოების გამო“.³⁵

ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული ერთ-ერთი პოზიციის თანახმად: „თუ დამნაშავე ჩაუსაფრდა დაზარალებულს და ორი საათის შემდეგ დააკავს იგი, მისი ქმედება დანაშაულის მომზადებად უნდა დაკვალიფიცირდეს მაშინ, თუ დადგინდება, რომ დაზარალებული მოგვიანებით აპირებდა გავლას მოცემულ ადგილას. მაგრამ, თუ დაკავების შემდეგ დადგინდა, რომ დაზარალებული, სადაც არის უნდა გამოჩენილიყო ან უკვე გამოჩნდა, მაშინ დამნაშავის ქმედება დანაშაულის მცდელობად უნდა შეფასდეს“.³⁶ აღნიშნული მსჯელობა არ არის გასაზიარებელი, ამ საკითხთან დაკავშირებით, ზოგადად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მომზადებისა და მცდელობის გასამიჯნად მნიშვნელოვანია სწორედ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების შეფასება და არა დროისა და სივრცის კომპონენტით შედეგთან

34 გაბიანი, ა. და სხვები, 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი (სახელმძღვანელო). თბილისი: მერიდიანი, გვ. 165.

35 იქვე. გვ. 165.

36 ხარანაული, ლ., 2013. სადისერტაციო ნაშრომი: დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (შედარებით-სამართლებრივი ანალიზი). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 53.

სიახლოვის განსაზღვრა. მაგალითად, პეტრემ, ვასოს მოკვლის მიზნით, შეიძინა იარაღი და ჩაუსაფრდა მას. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ ვასო მოექცა პეტრეს ხედვის არეალში, იგი იმდენად ახლოს იყო პეტრესთან, რომ ამ უკანასკნელს თავისუფლად შეეძლო მისი სიცოცხლის ხელყოფა. თუმცა, პეტრემ იმ მომენტში გადაიფიქრა ვასოს მკვლელობა, მან არც კი დაუმოხრა ცეცხლსასროლი იარაღი ვასოს. განსახილველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ, დროისა და სივრცის თვალსაზრისით, მსხვერპლი ახლოს იყო დანაშაულის ჩადენის იარაღთან, შესაბამისად, რეალურად ახლოს იყო შედეგის – სიცოცხლის ხელყოფის დადგომის მომენტიც, თუმცა, ამის მიუხედავად, სახეზეა სწორედ დანაშაულის მომზადება და არა მცდელობა, ეს უკანასკნელი იქნებოდა მაშინ, თუ პეტრე უშუალოდ დაიწყებდა მკვლელობის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების პროცესს, მაგალითად, ცეცხლსასროლ იარაღს დაუმოხრებდა ვასოს (დაუმთავრებელი მცდელობა) ან/და მისი მისამართით განხორციელებდა გასროლას. ამდენად, მოქმედი ქართული სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობის პირობებში აღნიშნული თეორიის გამოყენება დაუშვებელია, ვინაიდან სსკ-ის მე-19 მუხლით მკაფიოდ არის დადგენილი მცდელობის არსი და ფარგლები. კერძოდ, „დანაშაულის მცდელობად ითვლება განზრახი ქმედება, რომელიც თუმცა უშუალოდ მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად, მაგრამ დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი“³⁷ რაც, თავის მხრივ, გულისხმობს სწორედ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის დასაწყისს.

მკვლელობის მიზნით, მსხვერპლისათვის იარაღის დამოხრებასთან დაკავშირებით ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „*იარაღის დამოხრება არაა ქმედების შემადგენლობის რომელიმე ნიშნის განხორციელება, მაგრამ სამართლებრივი სიკეთისათვის შექმნილი კონკრეტული საფრთხის გამო ეს ქმედება უკვე მცდელობად ითვლება*“.³⁸ აღნიშნული პოზიციის თანახმად, მკვლელობის მიზნით განხორციელებული ისეთი ქმედებები, როგორებიცაა: ჩახმახზე თითის დადება და თოფის დამოხრება, წარმოადგენს არა მკვლელობის ობიექტური შემადგენლობის დასაწყისს, არამედ იგი მხოლოდ უშუალოდ უძღვის წინ მკვლელობის შემადგენლობის განხორციელების დაწყებას.³⁹

აღნიშნული მოსაზრება საკამათოა, ვინაიდან, სამართლებრივი სიკეთისათვის კონკრეტული და იმწუთიერი საფრთხის შექმნას განაპირობებს სწორედ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის დაწყების პროცესი და არა უშუალოდ ქმედების შემადგენლობის განხორციელების დაწყებამდე ჩადენილი ქმედება (ეს არის მომზადება). სწორადაა აღნიშნული ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში, რომ „*მოკვლის მიზნით მსხვერპლისათვის იარაღის დამოხრება ან იმავე მიზნით მსხვერპლისათვის დანის აღმართვა მიიჩნევა მცდელობად სწორედ იმიტომ, რომ ამ დროს უკვე არსებობს სამართლებრივი სიკეთის დაზიანების იმწუთიერი საფრთხე, რასაც, თავის მხრივ, განაპირობებს ის, რომ აღნიშნული ქმედებები მსხვერპლის წინააღმდეგ უკვე ძალადობის დაწყებას ნიშნავს* [ესე იგი ამ დროს უკვე იწყება მკვლელობის ობიექტური შემადგენლობის დაწყება]“.

37 მუხლი 19, საქართველოს კანონი „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი“. პარლამენტის უწყებანი, 22/07/1999. #2287.

38 მჭედლიშვილი-ჭედრიხი, ქ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 41.

39 იქვე. გვ. 40.

დგენლობის განხორციელება, ხაზგასმა ჩემია – გ.გ.], რაც არანაკლებ (თუ არა უფრო მეტ) კონკრეტულ საფრთხეს უქმნის სამართლებრივ სიკეთეს, ვიდრე მსხვერპლის გაკავების ფაქტი“.⁴⁰

ამდენად, ვინაიდან მოსამზადებელი საქმიანობა არ გულისხმობს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებას და, აქედან გამომდინარე, ქმნის სამართლებრივი სიკეთის დაზიანების მხოლოდ აბსტრაქტულ საფრთხეს, ბევრ ქვეყანაში იგი საერთოდ არ წარმოადგენს დასჯად სტადიას. საქართველოში კი, სსკ-ის მე-18 მუხლის მეორე ნაწილიდან გამომდინარე, სისხლისსამართლებრივი წესით ისჯება მხოლოდ მძიმე და განსაკუთრებით მძიმე, ასევე ზოგიერთი ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადება.

აქედან გამომდინარე, საინტერესოა, მომზადებისა და მცდელობის პრაქტიკული გამიჯვნის საკითხის გაანალიზება იმ ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე, რომლითაც დანაშაულის მომზადება არ წარმოადგენს სისხლისსამართლებრივი წესით დასჯად ქმედებას. ერთ-ერთ ასეთ ქვეყანას წარმოადგენს გერმანია. „გერმანული სისხლის სამართლის პრაქტიკა მოსამზადებელ ქმედებათა დასჯისათვის კანონის განვრცობილ განმარტებას იყენებს. კერძოდ, ბინაში შესვლა, იქ ჩასაფრება ან/და მსხვერპლის ბინაში ძებნა მისი მოკვლის მიზნით მკვლელობის მცდელობად კვალიფიცირდება. ჟურდობის მცდელობად ითვლება ყოველგვარი ქმედება, რომელიც სხვის მფლობელობაზე თავდასხმის დაწყება და დროსა და სივრცეში უშუალოდ ნივთის დაუფლებას

უძღვის წინ. მაგ.: უზოს ძაღლის სხვაგან წაყვანა ჟურდობის გაადვილების მიზნით“.⁴¹ ამ ასპექტში ასევე მნიშვნელოვანია ყაჩაღობის მცდელობის საკითხისადმი გერმანულ – იურიდიულ დოქტრინაში არსებული მიდგომა, რომლის თანახმადაც: „ყაჩაღობისას მცდელობა 249-ე პარაგრაფში დასახელებული იძულებითი ქმედებების უშუალო წამოწყებისთანავე დადასტურებულად ითვლება, რამდენადაც მათ უშუალოდ შესაძლებელი უნდა გახდონ დაგეგმილის წართმევა. მხოლოდ წართმევის დაწყები ქმედება საკმარისი არაა, თუ ის, პირიქით, წინ უსწრებს ძაღლის გამოყენებას და სხვა მსგავს აქტს (მაგალითად, წამოწყება შესაძლო ყაჩაღობის ჩადენის განზრახვით ან წინა დღეს სათვალთვალთ კამერის ობიექტზე ხილვადობის მოშლის მიზნით რაიმეს მიწებება)“.⁴² შესაბამისად, გერმანულ იურიდიულ დოქტრინაში ყაჩაღობის მცდელობად მიიჩნევენ ასევე ისეთ ქმედებებსაც, რომლებიც წინ უსწრებს ყაჩაღობის დისპოზიციაში დასახელებული იძულებითი ქმედებების უშუალო დაწყების პროცესს. ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობით კი ხსენებული ქმედებები დაკვალიფიცირდება დანაშაულის მომზადებად, ვინაიდან, ისინი, თავიანთი არსითა და პრაქტიკული გამოვლინების ფორმებით, არ წარმოადგენენ ყაჩაღობის ობიექტური შემადგენლობის რომელიმე ნიშანს.

დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის ინსტიტუტებთან დაკავშირებით ძალზე საინტერესო მიდგომაა დანერგული ინგლისურ სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში. კერძოდ, ინგლისურ სისხლის სამართალ-

40 თოდუა, ნ., 2015. სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები). სახელმძღვანელო იურისტებისათვის. თბილისი: მერიდიანი, გვ. 31.

41 მჭედლიშვილი-ჭედრიხი, ქ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი: მერიდიანი, გვ. 28-29.

42 ვესელსი, ი. და ბოილკე, ვ., 2010. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ. 350.

შიც, გერმანული სისხლის სამართლის მსგავსად, დანაშაულის მომზადება არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. თუმცა, გერმანული მიდგომისაგან განსხვავებით, ინგლისის სასამართლო პრაქტიკა მომზადების დაუსჯელობის ხარჯზე არ აფართოებს დანაშაულის მცდელობის სამართლებრივ ფარგლებს. კერძოდ, ერთ-ერთ საქმეში სასამართლომ ყაჩაღობის მომზადებად შეაფასა იმ პირის ქმედება, რომელიც იმყოფებოდა ფოსტის გარეთ, მისი შესასვლელი კარის წინ და თან ჰქონდა ნიღაბი და ცეცხლსასროლი იარაღის მაკეტი. აღნიშნულმა პირმა, აგრეთვე, აღიარა, რომ სურდა ფოსტის დაყაჩაღება. როგორც აღინიშნა, მისი ქმედება შეფასდა ყაჩაღობის მომზადებად, რაც იქ არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რის გამოც იგი სასამართლომ გაათავისუფლა. მაშასადამე, ინგლისურ სისხლის სამართალში, გერმანულიაგან განსხვავებით, დანაშაულის მომზადებად (და არა მცდელობად) ფასდება ისეთი შემთხვევა, როდესაც პირი დგას იმ შენობის გარეთ, რომლის დაყაჩაღებაც (გაქურდვა) აქვს განზრახული.⁴³

რაც შეეხება მცდელობის ინსტიტუტს, უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისურ სისხლის სამართლის თეორიასა და პრაქტიკაში მკაფიოდ არ არის განსაზღვრული მცდელობის დეფინიცია, კერძოდ, მცდელობად მიიჩნევა ისეთი ქმედება, რომელიც აღემატება დანაშაულის ჩასადენად მიმართულ ჩვეულებრივ მოსამზადებელ საქმიანობას, მათი განმასხვავებელი კრიტერიუმები კი არ არის დადგენილი და ქმედების შეფასება მომზადებად თუ მცდელობად მთლიანად მინდობილია სასამართლოზე.⁴⁴ ინგლი-

სურ სისხლის სამართლის თეორიაში გამოთქმული ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, დანაშაულის მცდელობა იწყება მაშინ, როდესაც მთავრდება ჩვეულებრივი მოსამზადებელი საქმიანობა და პირი იწყებს ისეთი ქმედების განხორციელებას, რომელიც ახასიათებს დანაშაულს ან რომელიც ფაქტობრივად მიმართულია დანაშაულის სისრულეში მოსაყვანად.⁴⁵ მაშასადამე, ქართული სისხლის სამართლის მსგავსად, ინგლისური სისხლის სამართლითაც ფაქტობრივად აღიარებულია, რომ დანაშაულის მცდელობისას, მომზადებისაგან განსხვავებით, იწყება დანაშაულის ელემენტების განხორციელების უშუალო პროცესი, რაც წარმოადგენს პირის სისხლისსამართლებრივი წესით პასუხისგებაში მიცემის საფუძველს.

ანალოგიურადაა მოწესრიგებული მცდელობის ინსტიტუტი ამერიკის შეერთებული შტატების სისხლის სამართლის თეორიაშიც, სადაც მოცემულია მისთვის დამახასიათებელი სუბიექტური და ობიექტური ელემენტები. სუბიექტურ ელემენტად მიჩნეულია პირის მიზანი კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად, ობიექტურ ნიშნად კი მიიჩნევა პირის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება, რომელიც მიმართულია თავისი დანაშაულებრივი მიზნის განსახორციელებლად. ამგვარ ქმედებაში კი მოიაზრებენ დანაშაულის ჩადენისაკენ, მისი დამთავრებისაკენ, მიმართულ არსებით ნაბიჯებს, რაც ნიშნავს პირის მიერ, თავისი ფიზიკური ძალისხმევით, დანაშაულის დასრულებისაკენ მიმართულ აუცილებელ ელემენტთა განხორციელების პროცესს,⁴⁶ რაც, ფაქტობრივად ნიშნავს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის დაწყებას.

43 Elliot, C. and Quinn, F., 2014. Criminal Law. Tenth Edition. გვ. 274.

44 Heaton, R., 2006. Criminal Law. Textbook, Second Edition, Oxford University Press, გვ. 482.

45 იქვე, გვ. 482-483.

46 Samaha, J., 2011. Criminal Law. Tenth Edition, International Edition, USA, გვ. 238.

ამდენად, დანაშაულის მომზადება გულისხმობს იმ წინმსწრები, წინარე ქმედებ(ებ)ის განხორციელებას, რომლითაც იქმნება შესაბამისი პირობები, მზადდება ნიადაგი, შემდგომი (სამომავლო) დანაშაულებრივი ქმედების ჩასადენად. შესაბამისად, მოსამზადებელი საქმიანობა, თავისი არსითა და ფუნქციური დანიშნულებით, წინ უსწრებს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის დაწყების/განხორციელების პროცესს. აქედან გამომდინარე, მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩასადენად მიმართული ნებისმიერი წინმსწრები ქმედება, რომელიც, თავის მხრივ, არ მოიცავს განსახორციელებელი დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის რომელიმე ნიშანს.

დასკვნა

შეჯამების სახით, დანაშაულის მომზადების ინსტიტუტთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ მომზადება, თავისი არსითა და ფუნქციური დანიშნულებით, წარმოადგენს დაუმთავრებელი დანაშაულის იმ სტადიას, რომლის ფარგლებშიც იქმნება შესაბამისი პირობები, მზადდება ეფექტური „ნიადაგი“ კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად. შესაბამისად, დანაშაულის მომზადება გულისხმობს სწორედ დანაშაულის უშუალოდ განხორციელებამდე საჭირო ნებისმიერი იმ ქმედების ჩადენას, რომელიც, თავის მხრივ, არ შედის დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ფარგლებში. ამდენად, მომზადება, განზრახვის გამომჟღავნებასთან ერთად, გულისხმობს დანაშაულის ჩასადენად მიმართულ კონკრეტულ ქმედებათა განხორციელებასაც, რომლითაც სამართლებრივი სიკეთისათვის იქმნება აბსტრაქტული საფრთხე. აქვე უნდა აღი-

ნიშნოს, რომ სისხლისსამართლებრივად დასჯადია მხოლოდ დაუმთავრებელი და დამთავრებული მომზადება, ვინაიდან ამ დროს, მეტ-ნაკლები ინტენსივობით, რეალურად ხორციელდება დანაშაულის ჩასადენად მიმართული ქმედებები. სწორედ ეს სძენს მომზადებას სოციალურად საშიშ თვისებას და, კონკრეტული კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებით, განაპირობებს მისი სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადობის აუცილებლობას. ხელშემოქმედებელი მომზადება კი არ ექვემდებარება სისხლისსამართლებრივი წესით დასჯას, ვინაიდან ამ შემთხვევაში წარმატებით ვერ ხორციელდება დანაშაულის ჩასადენად მიმართული ქმედება, რის გამოც ობიექტურად შექმნილი არ არის დანაშაულის ჩასადენად საჭირო არც ერთი პირობა. შესაბამისად, ხელშემოქმედებელი მომზადება სამართლებრივი სიკეთისათვის არ ქმნის აბსტრაქტულ საფრთხეს.

რაც შეეხება მომზადების გამოვლინების სამართლებრივი ფარგლების საკითხს, ამასთან დაკავშირებით ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის უშუალოდ დაწყებამდე დანაშაულისაკენ მიმართული ნებისმიერი საქმიანობა ექვევა მოსამზადებელი სტადიის ფარგლებში. დანაშაულის მომზადებისა და მცდელობის განმასხვავებელ საკვანძო ნიშანს კი წარმოადგენს სწორედ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელება/არგანხორციელების საკითხის ზუსტი განსაზღვრა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოსამზადებელი საქმიანობის ფარგლებში განხორციელებული ქმედებები არ წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის არც ერთ ნიშანს, იგი არის მის მიღმა და შემოიფარგლება მხოლოდ შესაბამისი პირობების შექმნით, რაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანია აღნიშნული ობიექტური შემადგენლობის ნიშნ(ებ)ის შემდგომში განსახორციელებლად. ხოლო დანაშაუ-

ლის მცდელობის სტადიაზე გადასვლით კი იწყება დანაშაულის შემადგენლობის განხორციელების უშუალო პროცესი, რომლითაც იქმნება სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის კონკრეტული და იმწუთიერი საფრთხე. ამდენად, ვინაიდან მოსამზადებელი სტადია წარმოადგენს დანაშაულის უშუალოდ განხორციელებამდე მისასვლელ მნიშვნელოვან ეტაპს, ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა მიზანშეწონილად მიიჩნევს მძიმე, განსაკუთრებით მძიმე და ზოგიერთი ნაკლებად მძიმე დანაშაულის მომზადებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას.

მომზადების სისხლისსამართლებრივი წესით დასჯადობის მიზანშეწონილობის თვალსაზრისით, საინტერესოა იმ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობითა და პრაქტიკით დადგენილი სტანდარტები, რომლებშიც ოფიციალურად დანაშაულის მომზადება არ წარმოადგენს დასჯად ქმედებას. როგორც აღინიშნა, გერმანიაში დანაშაულის მომზადების დაუსჯელობისაგან გამოწვეულ „სამართლებრივ სიცარიელეს“ ავსებენ მცდელობის ინსტიტუტის განვრცობითი განმარტების საფუძველზე, რადგან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიღმა არ დარჩეს დანაშაულის ჩასა-

დენად განხორციელებული საშიშროების შემცველი მოსამზადებელი ქმედებები. ამდენად, ზოგიერთ დანაშაულთან მიმართებით, მოსამზადებელი საქმიანობა ფაქტობრივად მაინც არ რჩება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიღმა, თუმცა იმ განსხვავებით, რომ იგი მომზადების ნაცვლად ხელოვნურად, მექანიკურად კვალიფიცირდება მცდელობად. აღნიშნული მიდგომა კი დაუშვებელია, რადგან მომზადების დაუსჯელობიდან გამომდინარე საკანონმდებლო ხარვეზის აღმოფხვრა ხდება პირის პასუხისმგებლობის ხელოვნურად დამძიმების ხარჯზე. აღნიშნული თვალსაზრისით, ბევრად სამართლიანი მიდგომაა დანერგილი ანგლოამერიკულ სისხლის სამართალში, სადაც მომზადების დაუსჯელობის ხარჯზე არ ხდება მცდელობის ინსტიტუტის სამართლებრივი ფარგლების გაფართოება.

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ დანაშაულის მოსამზადებელ საქმიანობაში შედის დანაშაულის ჩადენისაკენ მიმართული ნებისმიერი ქმედება, რომელიც, თავის მხრივ, არ მიეკუთვნება თავად ამ დანაშაულის შემადგენლობის რომელიმე ნიშანს, თუმცა ქმნის მის ჩასადენად საჭირო შესაბამის პირობებს.

ბიბლიოგრაფია:

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაბიანი, ა. და სხვები, 2007. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო. თბილისი: მერიდიანი.
2. გამყრელიძე, ო., 2013. სისხლის სამართლის პრობლემები. მე-3 ტომი. თბილისი: იურისტების სამყარო.
3. გამხიტაშვილი, გ., 2020. თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის გამიჯვნის საკითხი. სამართლის მაცნე, 1. ვესელსი, ი. და ბოილკე, ვ., 2010. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება. თბილისი: თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
4. თოდუა, ნ., 2015. სისხლის სამართლის კანონმდებლობის აქტუალური საკითხები (პრობლემები და ინოვაციები). სახელმძღვანელო იურისტებისათვის. თბილისი: მერიდიანი.
5. თოდუა, ნ. და სხვები. 2019. სისხლის სამართალი (სახელმძღვანელო), ზოგადი ნაწი-

- ლი. თბილისი: მერიდიანი.
7. ლეკვეიშვილი, მ., მამულაშვილი, გ. და თოდუა, ნ., 2020. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი. წიგნი მეორე, მეექვსე გამოცემა, თბილისი: მერიდიანი.
 8. მჭედლიშვილი-ჰედრიხი, ქ., 2011. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, დანაშაულის გამოვლინების ცალკეული ფორმები. თბილისი: მერიდიანი.
 9. ტურავა, მ., 2013. სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა. თბილისი: მერიდიანი.
 10. ხარანაული, ლ., 2013. სადისერტაციო ნაშრომი: დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობა ქართული და გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით (მედარებით-სამართლებრივი ანალიზი). თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა.
 11. წერეთელი, თ., 2007. სისხლის სამართლის პრობლემები. ტომი I. თბილისი: მერიდიანი.
 12. Elliot, C. and Quinn, F., 2014. Criminal Law. Tenth Edition.
 13. Heaton, R., 2006. Criminal Law. Textbook. Second Edition, Oxford University Press.
 14. Samaha, J., 2011. Criminal Law. Tenth Edition, International Edition, USA.
 5. Heaton, R., 2006. Criminal Law. Textbook. Second Edition, Oxford University Press. (in English)
 6. Kharanauli, L., 2013. Dissertation on the topic: Punishability of unaccomplished crime according to Georgian and German criminal law (Comparative legal analysis). Publishing house of Tbilisi University. (in Georgian)
 7. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2020. Criminal law, Private Part. book wto, sixth edition. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
 8. Mchedlishvili-Hedrich, K., 2011. Criminal Law, General Part, The Certain Forms of Crime Commission. Meridiani. (in Georgian)
 9. Tsereteli, T., 2007. The Issues of Criminal Law. First Tome, Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
 10. Todua, N., 2015. The Actual Matters of Legislation Criminal Law (Problems and Innovations) Textbook for Lawyers. Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
 11. Todua, N. and others. 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
 12. Turava, M., 2013. Criminal Law, Review of General Part. Ninth Edition, Meridiani. (in Georgian)
 13. Samaha, J., 2011. Criminal Law. Tenth Edition, International Edition, USA. (in English)
 14. Wessels, I. and Beulke, V., General Part of Criminal Law, Crime and Its Construction. Tbilisi: publishing house of University. (in Georgian)

ნორმატიული მასალა:

1. საქართველოს კანონი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი. პარლამენტის უწყებანი, 22/07/1999. # 2287.

BIBLIOGRAPHY:

Used Literature:

1. Elliot, C. and Quinn, F., 2014. Criminal Law. Tenth Edition. (in English)
2. Gabiani, A. and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani. (in Georgian)
3. Gamkrelidze, O., 2013. The Problems of Criminal Law. Third Volume, Tbilisi: The world of Lawyers. (in Georgian)
4. Gamkhitashvili, G., 2020. On Matters of Distinguishing Joint Principal from Accomplices in a Crime. Herald of Law, 1. (in Georgian)

Normative Materials:

1. Law of Georgia Criminal Code of Georgia. Parliamentary Gazette, 22/07/1999. #2287. (in Georgian)

REFERENCES:

1. Article 18, Law of Georgia Criminal Code of Georgia. Parliamentary Gazette, 22/07/1999. # 2287 (in Georgian)
2. Gamkrelidze, O., The Problems of Criminal Law. third volume, Tbilisi: The world of Lawyers, p. 237. (in Georgian)
3. Tsereteli, T., 2007. The Problems of Criminal Law. first volume, Tbilisi: Meridiani, pp. 377-378. (in Georgian)
4. Gabiani, A. and others. 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 157. (in Georgian)
5. Mchedlishvili-Hedrich, K., 2011. Criminal Law, General Part, The Certain Forms of Crime Commission. Meridiani, p. 24. (in Georgian)
6. Tsereteli, T., 2007. The Issues of Criminal Law. First Tome. Tbilisi: Meridiani, p. 379. (in Georgian)
7. Gabiani, A. and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 156. (in Georgian)
8. Article 25, Law of Georgia Criminal Code of Georgia. Parliamentary Gazette, 22/07/1999. # 2287. (in Georgian)
9. Todua, N. and others. 2019. Criminal Law, General Part (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 372. (in Georgian)
10. Tsereteli, T., 2007. The Problems of Criminal Law. First volume, Tbilisi: Meridiani, pp. 380-381. (in Georgian)
11. Mchedlishvili-Hadrich, K., 2011. Criminal Law, General Part, The Certain Forms of Crime Commission. Meridiani, pp. 21-22. (in Georgian)
12. Tsereteli, T., 2007. The Issues of Criminal Law, First Volume, Tbilisi: Meridiani, pp. 385-386. (in Georgian)
13. Turava, M., 2013. Criminal Law, Review of General Part. Ninth Edition. Meridiani, p. 301. (in Georgian)
14. Gamkrelidze, O., 2013. The Problems of Criminal Law. Third Volume, Tbilisi: The world of Lawyers, p. 237. (in Georgian)
15. Todua, N., 2015. The Actual Matters of Legislation Criminal Law (Problems and Innovations) Textbook for Lawyers. Tbilisi: Meridiani, p. 30. (in Georgian)
16. Ibid. p. 31.
17. Kharanauli, L., 2013. Dissertation on the topic: Punishability of unaccomplished crime according to Georgian and German criminal law (Comparative legal analysis). Publishing house of Tbilisi University, p. 54. (in Georgian)
18. Gamkhitashvili, G., 2020. On Matters of Distinguishing Joint Principal from Accomplices in a Crime. Herald of Law, 1, p. 106. (in Georgian)
19. Article 22, Law of Georgia Criminal Code of Georgia. Parliamentary Gazette, 22/07/1999. # 2287. (in Georgian)
20. Todua, N., 2015. The Actual Matters of Legislation Criminal Law (Problems and Innovations). Textbook for Lawyers. Tbilisi: Meridiani, p. 35. (in Georgian)
21. Tsereteli, T., 2007. The Issues of Criminal Law. First Volume, Tbilisi: Meridiani, p. 393. (in Georgian)
22. Gabiani, A. and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 159. (in Georgian)
23. Todua, N., 2015. The Actual Matters of Legislation Criminal Law (Problems and Innovations) Textbook for Lawyers. Tbilisi: Meridiani, p. 32. (in Georgian)
24. Gabiani, A. and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 159. (in Georgian)
25. Turava, M., 2013. Criminal Law, Review of General Part. Ninth Edition, Meridiani, pp. 304-305. (in Georgian)
26. Ibid. p. 305.
27. Lekveishvili, M., Mamulashvili, G. and Todua, N., 2020. Criminal law, Private Part. book two, sixth edition. Tbilisi: Meridiani, p. 602. (in Georgian)
28. Turava, M., 2013. Criminal Law, Review of General Part. Ninth Edition, Meridiani, p. 305. (in Georgian)
29. Gabiani, A. and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 161. (in Georgian)
30. Ibid. p. 161.
31. Ibid. p. 158.
32. Turava, M., 2013. Criminal Law, Review of General Part. Ninth Edition, Meridiani, p. 305. (in Georgian)
33. Ibid. p. 305.

34. Gabiani, A. and others, 2007. The General Part of Criminal Law (Textbook). Tbilisi: Meridiani, p. 165. (in Georgian)
35. Ibid. p. 165.
36. Kharanauli, L., 2013. Dissertation on the topic: Punishability of unaccomplished crime according to Georgian and German criminal law (Comparative legal analysis). Publishing house of Tbilisi University, p. 53. (in Georgian)
37. Article 19, Law of Georgia Criminal Code of Georgia. Parliamentary Gazette, 22/07/1999. # 2287. (in Georgian)
38. Mchedlishvili-Hadrich, K., 2011. Criminal Law, General Part, The Certain Forms of Crime Commission. Meridiani, p. 41. (in Georgian)
39. Ibid. p. 40.
40. Todua, N., 2015. The Actual Matters of Legislation Criminal Law (Problems and Innovations). Textbook for Lawyers. Tbilisi: Meridiani, p. 31. (in Georgian)
41. Mchedlishvili-Hadrich, K., 2011. Criminal Law, General Part, The Certain Forms of Crime Commission. Meridiani, pp. 28-29. (in Georgian)
42. Wessels, I. and Beulke, V., 2010. General Part of Criminal Law, Crime and Its Construction. Tbilisi: publishing house of University, p. 350. (in Georgian)
43. Elliot, C. and Quinn, F., 2014. Criminal Law. Tenth Edition, p. 274. (in English)
44. Heaton, R., 2006. Criminal Law, Textbook. Second Edition, Oxford University Press, p. 482. (in English)
45. Ibid. pp. 482-483.
46. Samaha, J., 2011. Criminal Law. Tenth Edition, International Edition, USA, p. 238. (in English)